საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

ადმინისტრაციული მიწერილობა
№ 004023

„29" აგვისტო 2024 წ. ქ. თბილისი
(შედგენის ადგილი)

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევების აღმოსაფხვრელი ღონისძიებების გატარების ან რაიმე ქმედებებისაგან თავის შეკავების შესახებ

სახელმწიფო საჭიროებებზე დანესებულების გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
(ადმინისტრაციული მიწერილობის გამცემი ორგანოს დასახელება, იურიდიული მისამართი)
ქ. თბილისი ვ. ნიჟარაძის I ჩიხი №1

ადმინისტრაციული მიწერილობის ობიექტი: „ჩკს „ქობულეთის ნყალი" (ს/ს 247009856)
(ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი,
იურ. მის.: ქ. ქობულეთი კოპალეიშვილის ქუჩა №52; დირექტორი
პირადობის/მოწმობის ნომერი, საცხოვრებელი ადგილი; იურიდიული პირის შემთხვევაში – იურიდიული სახელწოდება, იურიდიული მისამართი)
მინისტრის 2023 წლის 28 ივნისის №2-499 ბრძანებით გაფუძნებული მინისტრის 2024 წლის 3 ივნისის №2-81
ბრძანებით გაუქმებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (დასკვნა №14; 28.05.2007)

დარღვევები, რომლებზეც გაიცემა ადმინისტრაციული მიწერილობა: იხილეთ №004023
ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1
(დარღვევების ჩამონათვალი, რომლებზეც გაიცემა მიწერილობა)

გასატარებელი ღონისძიებები: იხილეთ №004023 ადმინისტრაციული მოქმედების ფურცელი №2

(დავალების არსი, საჭიროების შემთხვევაში, შესრულების ვადები)

თან ერთვის დანართი: 4 ფურცელი

(დანართის №, გვერდების რ-ბა, დანართების არარსებობის შემთხვევაში დაისმევა z)

პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული მიწერილობის შეუსრულებლობის შემთხვევაში:

ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 498 მუხლის შენიშვნის პირველი ნაწილის შესაბამისად

(კანონის მუხლ(ებ)ი, შესაბამისი პუნქტი ან წაწილი, ქვეპუნქტი)

მიწერილობის გამცემი თანამდებობის პირი: გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე-მაკონტროლებელი სახელმწიფო ინსპექტორი ნელი კოტიკოლაძე

(თანამდებობა, სახელი, გვარი)

თანამდებობის პირის ხელმოწერა: ნ. კოტიკოლაძე

ადმინისტრაციული მიწერილობის მიმღები (ივსება პირდაპირი ჩაბარების შემთხვევაში):

იგზავნება ფოსტით

(რეგულირების ობიექტის წარმომადგენელი პირი, მისი ხელმოწერა და თარიღი)

2024 წლის 29 აგვისტოს №004023 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2023 წლის 16 ნოემბრის №DES 8 23 00000210 ბრძანების საფუძველზე, 2023 წლის 21 ნოემბრიდან 2023 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით, განხორციელდა, შპს „ქობულეთის წყალი"-ზე (ს/კ 247009856) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2023 წლის 28 ივნისის №2-499 ბრძანებით გადაცემული, მინისტრის 2021 წლის 03 ივნისის №2-815 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (2007 წლის 28 მაისის №14 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის არაგეგმიური შემოწმება.

შემოწმების შედეგად გამოვლინდა შემდეგი დარღვევები:

1. 2007 წლის 28 მაისის №14 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის **დასკვნის პირველი პირობის** შესაბამისად, შპს „ქობულეთის წყალი"-ს არ აქვს შემუშავებული და დამტკიცებული მონიტორინგის გეგმა;
2. არ არის შესრულებული **გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშით განსაზღვრული შემდეგი ვალდებულებები:**

   2.1. კომპანიას არ აქვს ჩატარებული, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშით (გვ. 103) გათვალისწინებული მილსადენის და მოწყობილობების ტესტირება;

   2.2. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის (გვ. 106) შესაბამისად კომპანიას არ აქვს შემუშავებული და დამტკიცებული წყალსადენის სათავე ნაგებობების და მილსადენის სანიტარული დაცვის ზონების პროექტი;

   2.3. სათავე ნაგებობის ტერიტორიის დაცვის მიზნით, მდ. კინკიშას მარჯვენა სანაპიროზე (80 მ. სიგრძეზე), არ აქვს მოწყობილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშით (გვ. 26) გათვალისწინებული, ნაპირსამაგრი ნაგებობა;

   2.4. ასევე დადგინდა, რომ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში მოცემული ინფორმაცია არ შეესაბამება, ფაქტობრივ მდგომარეობას. კერძოდ:

      2.4.1. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის (გვ. 24-25) და სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის (გვ. 2-3) შესაბამისად, სათავე ნაგებობაზე, მიწისქვეშა წყლების შესაკრებად არ გამოიყენება წყალმიმღები გალერეები;

      2.4.2. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის (გვ. 25) შესაბამისად, არ ხდება სასმელი წყლის ქლორით გაუსნებოვნება (გამოიყენება ნატრიუმის ჰიპოქლორიდი);

      2.4.3. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის (გვ. 22) შესაბამისად წყალმომარაგების წყაროდ გათვალისწინებული 8 ჭაბურღილის (ჭის)

ნაცვლად, მოწყობილი და ექსპლუატაციაშია 10 ჭაბუღილი, რომელთაგან ყველა ჭაბურღილი არ არის განთავსებული დამცავ ჯიხურში და არც ერთი არ არის აღჭურვილი დონემზომით;

2.4.4. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშით (გვ. 27) გათვალისწინებული წყლის 2 რეზერვუარის (საერთო ტევადობით 9440მ^3) ნაცვლად, მოწყობილია ერთი რეზერვუარი- 5000მ^3 ტევადობით;

2.4.5. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის (გვ. 32) შესაბამისად, არ არის მოწყობილი სანიაღვრე წყლების შეგროვების სარეგულაციო რეზერვუარი და არ გააჩნია გამწმენდი ნაგებობა (რომელსაც უნდა ჰქონდეს სალექარი და ნავთობპროდუქტების დამჭერი);

2.4.6. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის (გვ. 29) შესაბამისად №1 და №2 სატუმბ სადგურში, სველ კამერაში, არ არის დამონტაჟებული ჩაძირული ტიპის ტუმბო-დანადგარები (დამონტაჟებულია მშრალ კამერაში);

3. სანიაღვრე წყლების სატუმბი სადგურის შემკრები ავზიდან სანიაღვრე წყლები გაწმენდის გარეშე ჩაშვებულია/ჩაედინება მდინარე კინტრიშში, რაზედაც კომპანიას **არ გააჩნია სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმებული „ჩამდინარე წყლებთან ერთად ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების(ზდჩ) ნორმების პროექტი“.**

შემოწმების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე, 2024 წლის 17 იანვარს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^8-ე მუხლის, პირველი ნაწილის, 60^3-ე მუხლის მე-3 ნაწილის და ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე მუხლის მე-7, მე-9 ნაწილის შესაბამისად, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №088101 ოქმი, რომელიც განსახილველად გადაეგზავნა ქობულეთის მაგისტრატ სასამართლოს.

სასამართლომ, 2024 წლის 16 თებერვლის № 4/20-2024 დადგენილებით, კომპანია სცნო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^8-ე მუხლის პირველი ნაწილით, 60^3-ე მუხლის მე-3 ნაწილით და ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე მუხლის მე-7, მე-9 ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში და ადმინისტრაციული სახდელის სახით შეუფარდა - ჯარიმა 6000 ლარი. დღეს არსებული მდგომარეობით, დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 46-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ადგენს გონივრულ ვადას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულებისთვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ქობულეთის წყალი“-ს მიმართ შემუშავდა დეპარტამენტის 2024 წლის 29 აგვისტოს №004023 ადმინისტრაციული მიწერილობა.

2024 წლის 29 აგვისტოს №004023 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №2

შპს „ქობულეთის წყალი“-ზე (ს/კ 247009856) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2023 წლის 28 ივნისის №2-499 ბრძანებით გადაცემული, მინისტრის 2021 წლის 03 ივნისის №2-815 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (2007 წლის 28 მაისის №14 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის არაგეგმიური შემოწმებისას გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად, **შპს „ქობულეთის წყალი“ ვალდებულია:**

1. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში უზრუნველყოს**, მონიტორინგის გეგმის შემუშავება და დამტკიცება, მასზე პასუხისმგებელი ფიზიკური ან/და იურიდიული პირ(ებ)ის მითითებით (2007 წლის 28 მაისის №14 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის **დასკვნის პირველი პირობა);**
2. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში უზრუნველყოს**, მილსადენის და მოწყობილობების ტესტირების ჩატარება, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად (გვ. 103); ამ მიზნით, **არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში** უზრუნველყოს „მილსადენების გამოცდის ჩატარების ინსტრუქციის“ შემუშავება, რომელშიც განსაზღვრული იქნება გზშ ანგარიშით გათვალისწინებული მოთხოვნები და ასევე ტესტირების ჩატარების პერიოდულობა. შემდგომში, მილსადენის და მოწყობილობების ტესტირების ჩატარება უზრუნველყოს **აღნიშნული ინსტრუქციაში მოცემული პერიოდულობითა და პარამეტრების** დაცვით ;
3. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში უზრუნველყოს, წყალსადენის სათავე ნაგებობების** და **მილსადენის სანიტარული** დაცვის ზონების პროექტის შემუშავება „გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს №297/ნ ბრძანებით დადგენილი/განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით;
4. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 4 (ოთხი) თვის ვადაში,** სათავე ნაგებობის ტერიტორიის დაცვის მიზნით, **უზრუნველყოს**, მდ. კინკიშას მარჯვენა სანაპიროზე (80 მ. სიგრძეზე) ნაპირსამაგრის მოწყობა, **გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;**
5. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **დაუყოვნებლივ დაიწყოს და შემდგომ მუდმივად უზრუნველყოს**, სათავე ნაგებობაზე მიწისქვეშა წყლების შესაკრებად წყალმიმღები გალერეების გამოყენება, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად;
6. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **დაუყოვნებლივ დაიწყოს და შემდგომ მუდმივად უზრუნველყოს**, სასმელი წყლის გაუსნებოვნება გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად და „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №58 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით;

7. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში უზრუნველყოს**, წყლის მეორე რეზერვუარის მოწყობა, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად;
8. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 4 (ოთხი) თვის ვადაში უზრუნველყოს**, სანიაღვრე წყლების შეგროვების სარეგულაციო რეზერვუარისა და გამწმენდი ნაგებობის (რომელსაც უნდა ჰქონდეს სალექარი და ნავთობპროდუქტების დამჭერი) მოწყობა, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
9. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში, ადგილზე არსებული პირობების გათვალისწინებით,** შეიმუშაოს და სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შესათანხმებლად წარადგინოს „ჩამდინარე წყლებთან ერთად ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების(ზდჩ) ნორმების პროექტი“. შემდგომში, საქმიანობის განხორციელების პროცესში **მუდმივად უზრუნველყოს ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების დაცვა და ჩაშვებული დამაბინძურებელ ნივთიერებათა რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების მონიტორინგი შეთანხმებული პროექტისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;**

10. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში** №1 და №2 სატუმბ სადგურში, სველ კამერაში, დაამონტაჟოს ჩაძირული ტიპის ტუმბო-დანადგარები გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

ადმინისტრაციული მიწერილობა

№ 004024

„29" აგვისტო 2024 წ. ქ. თბილისი
(შედგენის ადგილი)

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევების აღმოსაფხვრელი ღონისძიებების გატარების ან რაიმე ქმედებებისაგან თავის შეკავების შესახებ

სახელმწიფო საკუთრებაში - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
(ადმინისტრაციული მიწერილობის გამცემი ორგანოს დასახელება, იურიდიული მისამართი)

ქ. თბილისი ვ. ნიბერანძის I ჯს №1

ადმინისტრაციული მიწერილობის ობიექტი: „ყვს „ქობულეთის ნყალი" (2/5247000856)
(ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი,

იურ. მის.: ქ. ქობულეთი, ჯიუტაკაძის ქუჩა №52; დირექტორი
პირადობის/მოწმობის ნომერი, საცხოვრებელი ადგილი, იურიდიული პირის შემთხვევაში – იურიდიული პირის სახელწოდება, იურიდიული მისამართი)

მინისტრის 2023 წლის 28 ივნისის №2-499 ბრძანებით გაფორმული მინისტრის 2024 წლის 3 ივნისის №2-815 ბრძანებით გაფორმული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ფასკნა №14; 28.05.2007)

დარღვევები, რომლებზეც გაიცემა ადმინისტრაციული მიწერილობა: იხილეთ №004024 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1
(დარღვევების ჩამონათვალი, რომლებზეც გაიცემა მიწერილობა)

გასატარებელი ღონისძიებები: იხილეთ №004024 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №2

(დავალების არსი, საჭიროების შემთხვევაში, შესრულების ვადები)

თან ერთვის დანართი: 2 ფურცელი

(დანართის №, გვერდების რ-ბა, დანართების არარსებობის შემთხვევაში დაისმევა z)

პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული მიწერილობის შეუსრულებლობის შემთხვევაში:

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად კოდექსის 60³ მუხლის და 84-ე მუხლის

(კანონის მუხლ(ებ)ი, შესაბამისი პუნქტი ან ნაწილი, ქვეპუნქტი)

პირველი ნაწილის შესაბამისად.

მიწერილობის გამცემი თანამდებობის პირი: გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის

(თანამდებობა, სახელი, გვარი)

უფროსის მოადგილე - მოვალეთა სახელმწიფო რესპუბლიკური ნენი კოტოლაშვილი

თანამდებობის პირის ხელმოწერა: ნ. კოტოლაშვილი

ადმინისტრაციული მიწერილობის მიმღები (ივსება პირდაპირი ჩაბარების შემთხვევაში):

ივზავნება ფოსტით

(რეგულირების ობიექტის წარმომადგენელი პირი, მისი ხელმოწერა და თარიღი)

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2023 წლის 16 ნოემბრის №DES 8 23 00000210 ბრძანების საფუძველზე, 2023 წლის 21 ნოემბრიდან 2023 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით, განხორციელდა, შპს „ქობულეთის წყალი"-ზე (ს/კ 247009856) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2023 წლის 28 ივნისის №2-499 ბრძანებით გადაცემული, მინისტრის 2021 წლის 03 ივნისის №2-815 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (2007 წლის 28 მაისის №14 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის არაგეგმიური შემოწმება.

ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა, რომ სათავე ნაგებობის ტერიტორია, რომელიც წარმოადგენის სათავე ნაგებობისა და წყალსადენის სანიტარული დაცვის მკაცრ ზონას სრულად არ არის შემოღობილი და დაცული მსხვილფეხა პირუტყვის შეღწევისგან, შესაბამისად დარღვეულია სანიტარული დაცვის ზონის კანონით დადგენილი მოთხოვნები/ნორმები.

შემოწმების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე, 2024 წლის 17 იანვარს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^8-ე მუხლის, პირველი ნაწილის, 60^3-ე მუხლის მე-3 ნაწილის და ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე მუხლის მე-7, მე-9 ნაწილის შესაბამისად, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №088101 ოქმი, რომელიც განსახილველად გადაეგზავნა ქობულეთის მაგისტრატ სასამართლოს.

სასამართლომ, 2024 წლის 16 თებერვლის № 4/20-2024 დადგენილებით, კომპანია სცნო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^8-ე მუხლის პირველი ნაწილით, 60^3-ე მუხლის მე-3 ნაწილით და ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე მუხლის მე-7, მე-9 ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში და ადმინისტრაციული სახდელის სახით შეუფარდა - ჯარიმა 6000 ლარი. დღეს არსებული მდგომარეობით, დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ქობულეთის წყალი"-ს მიმართ შემუშავდა დეპარტამენტის 2024 წლის 29 აგვისტოს №004024 ადმინისტრაციული მიწერილობა.

შპს „ქობულეთის წყალი“-ზე (ს/კ 247009856) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2023 წლის 28 ივნისის №2-499 ბრძანებით გადაცემული, მინისტრის 2021 წლის 03 ივნისის №2-815 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (2007 წლის 28 მაისის №14 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის არაგეგმიური შემოწმებისას გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად, **შპს „ქობულეთის წყალი“ ვალდებულია:**

ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში უზრუნველყოს, სათავე ნაგებობის ტერიტორიის სრულად შემოღობვა** და საქმიანობის განხორციელების პროცესში **მუდმივად უზრუნველყოს** სანიტარული დაცვის ზონის კანონით დადგენილი მოთხოვნების/ნორმების დაცვა;